საექსპერტო დასკვნა

ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი 2022 წლის 07 აპრილი

დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზაზე, განსახილველად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს (ID ნომერი: 205143824) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით. შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“-ს შენობა) რეკონსტრუქციის პროექტის შემდეგი ნაწილები (წარმოდგენილი მასალების სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

– არსებული სკოლის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შპს „სტუდია 9“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტური მ. ჩხაიძე.

– არსებული სკოლის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მუშა პროექტის სახით დამუშავებულია შპს „ჯი ენ პი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

– „ქალაქი თბილისი, შუამთის ქუჩა №21. საკ.კოდი 01.19.20.027.018 შპს „ვი თი ჯგუფი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“, შესრულებულია შპს „არქსტუდიო“-ს ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. “ბალავერი”-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში, შ.პ.ს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018). სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობის განთავსების უბანი (ე.წ. „მესამე მასივი“-ს დასახლებული პუნქტი, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით - სექტორი სამგორი) მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, პიკური აჩქარებით A=0,17.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ (პარამეტრები აღებულია ქალაქ თბილისის ვარკეთილის დასახლებული პუნქტის მონაცემებიდან).

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობის განთავსების ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს სამი ფენა: ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1), რომელიც წარმოდგენილია ასფალტის ფენის ნარჩენების, სამშენებლო მასალების ნატეხოვანი ნარჩენების და თიხა გრუნტების ნარევით; შემდეგი ფენაა დელუვიური წარმოშობის თიხოვანი გრუნტი (ფენა 2), რომელიც მოყვითალო და ღია ყავისფერია და წარმოდგენილია „თეთრთვალა“-ს ბუდობების ჩანართებით და ბოლოს, მსხვილნატეხოვანი გრუნტი, კენჭნარი (ფენა 3), რომელიც წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, თიხნარის შემავსებლებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში. გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ გამოვლენილა. შენობა გრუნტზე დაფუძნებულია 400 მმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით (ფილის ქვეშ მოწყობილია 100 მმ. სისქის ბეტონის მომზადება). საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს მე-3 ფენა, კენჭნარი.

სარეკონსტრუქციო შენობა გეგმაში მარტივი, სწორკუთხა გეომეტრიული ფორმისაა და მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომებია: სიგრძე 30,50 მ, ხოლო სიგანე 16,40 მ. (მიწისპირა სართულის დონეზე) და 18,40 მ. (მეორედან მეოთხე სართულის ჩათვლით). შენობა სავარაუდოდ აგებულია 2012 წელს (თავდაპირველად აგებული იყო ორსართულიანი შენობა ნახევრადსარდაფით, რომელზეც მოგვიანებით დააშენეს ორი სართული). ამჟამად შენობა ხუთსართულიანია (ნულსქვედა ნახევარსარდაფის ერთი სართულით და ნულსზედა ოთხი სართულით). სარდაფის სართულის სიმაღლე 3,0 მ-ია, ხოლო დანარჩენი ნულსზედა სართულების სიმაღლე 3,60 მ-ია. პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 442,700. შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია. მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სვეტები და რიგელები. სვეტები მთლიანკედლიანი მართკუთხა ფორმისაა და მათი განივი კვეთია 600X400 მმ. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკიბნაბეტონის 180 მმ. სისქის წიბოვანი ფილებით, რომლებიც კარკასის ელემენტებთან ერთად ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და უზრუნველყოფენ შენობის სივრცით სიხისტეს. გადახურვის ფილების წიბოების (მონოლითური რკინაბეტონის კარკასის რიგელები) განივი კვეთი 400X550(h) მმ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის ორი ორმარშიანი მონოლითური რკინაბეტონის შიგა კიბეებით.

სკოლის არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს მთავარი შესასვლელი გარე კიბის (წინაფრის) და სახურავის რეკონსტრუქციას: მთავარი შესასვლელი კიბის წინაფრის რეკონსტრუქციისთვის მოწყობილია მონოლითური

რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, ხოლო კარკასი შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებით. რაც შეეხება სახურავის რეკონსტრუქციას, ის მთლიანად გადაწყვეტილია ლითონის კარკასში, რომლის ელემენტებიც ელექტრორკალური შედუღების მეშვეობით დადუღებულია არსებული მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში საანკერე წებოთი (ე.წ. „ქიმიური ანკერი“) ჩაანკერებულ ჩასატანებელი დეტალების ლითონის ფურცლებზე.

საექსპერტოდ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტის საძირკვლებისა და კარკასის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება შერჩეულ იქნა ანგარიშით მიღებული ძალვების გათვალისწინებით. მანსარდის ტიპის სახურავის კონსტრუქციებში: სვეტებად შერჩეულია □150X5 მმ. განივი კვეთის მქონე კვადრატული მილები; გადახურვის კონსტრუქციებში გამოყენებულია IPE220 და IPE200 ნიშანდების ორტესებრი პროფილისა და □40X3 მმ. განივი კვეთის მქონე კვადრატული მილების ელემენტები. შესასვლელი წინაფრის რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით, ლითონის სვეტებისთვის მოწყობილია ტუმბოების ტიპის მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, რომელთა ძირის გაბარიტული ზომებია 700X700 და 1300X700 მმ. ორთავე საძირკვლის სიმაღლე 500 მმ-ია და ისინი დაფუძნებულნი არიან ნაყარი, ტექნოგენური გრუნტის ფენაზე (ფენა 1). მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმირება განხორციელებულია A500C კლასის არმატურის ღეროებით. რეკონსტრუქციის პროექტით შესასვლელი ნაწილისთვის გათვალისწინებული ლითონის კონსტრუქციების კვეთები შერჩეულია შემდეგი ელემენტებისგან: სვეტები ლითონის ნაგლინი მილკვადრატებისგან განივი კვეთით □100X5 მმ; გადახურვის კოჭები ლითონის ნაგლინი ორტესებრი პროფილის კონსტრუქციებისგან განივი კვეთით IPE270, I№22 ნიშანდების ორტესებრი პროფილის კოჭები.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დეტალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი გრაფიკულად დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ, ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

– განმარტებითი ბარათის მიხედვით ქარის დატვირთვად დაფიქსირებულია 38,75 კგძ/მ^2 (სავარაუდოდ მექანიკური შეცდომაა), მაგრამ დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მონაცემების მიხედვით (ცხრილი 18. გვ. 65) სარეკონსტრუქციო შენობის ტერიტორიის უახლოესი დასახლებული პუნქტის, ვარკეთილისათვის დაფიქსირებულია 85 კგძ/მ^2.

– ფურცელი №15 („კონსტრუქციების განლაგების სქემა +7,100 ნიშნულზე“). მე-7 ღერძის გასწვრივ გადახურვის ელემენტად დაფიქსირებულია IPE270 ნიშანდების ორტესებრი პროფილის კოჭი, ხოლო №22 ფურცელზე დამუშავებულ „მასალათა ხარჯის უწყისი“-ს

სპეციფიკაციაში დაფიქსირებულია IPE200E პროფილის ორტესებრი კოჭი, საჭიროა შეუსაბამობის აღმოფხვრა.

– ფურცელი №16. ფურცელზე დამუშავებულია „ვერტილოვანი საძირკველი ვ.ს-1“. დეტალზე „ჭრილი 1-1“ არ არის მითითებული საძირკვლის არც ზედაპირის და არც ძირის ვერტიკალური ნიშნულები. იგივე შენიშვნა გვაქვს №17 ფურცელზე დამუშავებული „ვ.ს-2“ ვერტილოვანი საძირკვლის მიმართაც (ნახაზის დასახელებაში გაპარულია მექანიკური შეცდომა და საძირკველი ნიშანდებულია როგორც „ვ.ს-1“). ექსპერტის მოსაზრებით, რადგანაც ვერტილოვანი საძირკვლები განლაგებულია ნაყარ გრუნტზე (რომელიც სავარაუდოდ არაერთგვაროვანია), ისინი სასურველია მოეწყოს ხელოვნური ფუძის დატკეპნილ შრეზე.

– ფურცელი №18. ფურცელზე დამუშავებულია მონოლითური რკინაბეტონის კედლისა და გარე კიბის ჭრილები (შესაბამისად „ჭრილი 1-1“ და „ჭრილი 2-2“), მაგრამ პროექტში არ არის დამუშავებული მათი მასალების ხარჯის სპეციფიკაცია, ამასთან „ჭრილი 1-1“-ზე არ არის ნიშანდებული („მარკირებული“) ვერტიკალური ბადეების დამჭერი კაუჭები.

– ფურცლები №19 და №20 (შესაბამისად ჭრილები „3-3“ და „4-4“). ჭრილების დეტალები დამუშავებულია ძალზედ ზოგადად, დეტალებზე არ არის დაფიქსირებული კონსტრუქციული ელემენტების ნიშანდება („მარკირება“).

– ფურცელი №21. წინა ფურცლებისგან განსხვავებით კონკრეტულ ფურცელზე კონსტრუქციული ელემენტები ნიშანდებულია, მაგრამ არ არის დაფიქსირებული სიმაღლეების აღმნიშვნელი ნიშნულები. ამასთან „ჭრილი 7-7“-ზე არ არის მითითებული კოჭის ნაშვერის სიგრძის რიცხვითი მნიშვნელობა.

– ფურცელი №22. ფურცელზე დამუშავებულია „მასალათა ხარჯის უწყისი“, მაგრამ სპეციფიკაციაში მითითებული კვეთები არ ემთხვევა №14 ფურცელზე დაფიქსირებულ სიდიდეებს. საჭიროა სპეციფიკაციის ხელახლა დმუშავება.

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს მიეცემა დადებითი შეფასება მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

გავეცანი კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტის შენიშვნებზე, პასუხები მისაღებია. ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

09.04.22

CV

რამაზ აფხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

შ.პ.ს. "ტანდემი"	- დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. "ედრი+"	- მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები:	- საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან. - მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან. - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან
სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო -საკონსტრუქტორო ბიურო, "რემმშენპროექტი"	- წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.
ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიეპი"	- კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2006 წლიდან დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან და შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2016 წელს მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება (ბრძანება №1-1/663 07.12.2016). 2019 წელს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში მრჩევლად (წიგნაკი №5-171 25.03.2019).

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.

სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B" კატეგორია.

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა აფხაძე
რამაზი ნოდარის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ.
პოლიტექნიკური ინსტიტუტში
და 1974 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.
„29" აპრილის გადაწყვეტილებით
რ.ნ. აფხაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „5" X

სარეგისტრაციო № სტ-3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Апхадзе
Рамазу Нодаровичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-ут им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института

по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1974 г.
Апхадзе Р.Н.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси „5" X 1974 г.

Регистрационный № СТ-3557

Московская типография Гознака. 1972.

საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა

პირადი № 01003019723

სახელი რამაზი

გვარი აფხაძე

დაბადების თარიღი 16.07.1949

დაბადების ადგილი ლანჩხუთი



№ ბ 1405779

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 146

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი–ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 15.11.2010

მოქმედების ვადა 15.11.2020

რეგისტრაციის თარიღი 15.11.2010

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრ. შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

დაჯილდოების

სიგელი

ბატონ რამაზ აფხაძეს

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 7 დეკემბრის №1-1/663 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
მრჩეველი

ბ-ნი *რამაზ ნოდარის ძე*
აფხაძე
(არჩეულია 2019 წლის 25 მარტს)



პირადი ხელის მოწერა
აკადემიის პრეზიდენტი
ა. ფრანგიშვილი

Советник
ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

г-н *Апхадзе*
Рамаз Нодарович
(избран 25 Марта 2019 года)

№ 5- 171

Counsellor of
The ENGINEERING ACADEMY of
GEORGIA

Mr. *Ramaz N. Apkhadze*
(elected on March 25, 2019)

კვლევა

ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) დაპროექტებული სპორტული დარბაზის შენობის სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2022 წლის 25 მაისი

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს (ID ნომერი: 205143824) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, არსებული შენობა-ნაგებობების დამონტაჟისა და დაპროექტებული სპორტული დარბაზის მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში, № 01.19.20.027.018 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს სპორტული დარბაზის მშენებლობა, რისთვისაც თავდაპირველად საჭირო იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობების (შენობები 1/1 და 2/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დემონტაჟი.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საპროექტო შენობის ქვეშ, ტერიტორიის ფუძე გრუნტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს სამი ფენა: ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1), რომელიც წარმოდგენილია ასფალტის ფენის ნარჩენების, სამშენებლო მასალების ნატეხოვანი ნარჩენების და თიხა გრუნტების ნარევით; შემდეგი ფენაა დელუვიური წარმოშობის თიხოვანი გრუნტი (ფენა 2), რომელიც მოყვითალო და ღია ყავისფერია და წარმოდგენილია „თეთრთვალა“-ს ბუდობების ჩანართებით და ბოლოს, მსხვილნატეხოვანი გრუნტი, კენჭნარი (ფენა 3), რომელიც წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, თიხნარის შემავსებლებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში. გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ გამოვლენილა.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, შუამთის ქუჩა და მის გასწვრივ (ქუჩის მოპირდაპირე მხარეს) მდებარე: თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.022.018 (ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი III,

კორპუსი 12) და მასზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ე.წ. „ხრუშოვკა“) შენობა (შენობა 1/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 20,0 მ-ით და თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.022.007 (ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი III, კორპუსი 11) და მასზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ე.წ. „ხრუშოვკა“) შენობა (შენობა 1/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) შუამთის ქუჩის მხრიდან ერთსართულიანი მინაშენებით (შენობები 08/1 და 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 19,0 მ-ით [ერთსართულიანი მიშენება (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 17,0 მ-ით]; **აღმოსავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ის (ID ნომერი: 205143824) საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.017 (ქალაქი თბილისი, შუამთის ქუჩა №21ა); **სამხრეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საცხენისის ქუჩა და მის გასწვრივ (ქუჩის მოპირდაპირე მხარეს) მდებარე: „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.029.021 [ქალაქი თბილისი, საცხენისის ქუჩა (ნაკვ. 029/021)] და მასზე განთავსებული საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობები (შენობები 1/2; 2/2; 3/2 და 4/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელთაგან უახლოესი (შენობა 1/2 საკადასტროპ გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 33,0 მ-ით; **დასავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა და მის გასწვრივ (ქუჩის მოპირდაპირე მხარეს) მდებარე: I-სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი“-ს (ID ნომერი: 204521794) საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.020 (ქალაქი თბილისი, მასივი III, საცხენისის ქუჩა №20; ქალაქი თბილისი, მასივი III, საცხენისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ). II-ზემოაღნიშნული ნაკვეთის ფარგლებში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.019 (ქალაქი თბილისი, ვარკეთილის მე-3 მასივი, საცხენისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ) და მასზე განთავსებული ერთსართულიანი, პავილიონის ტიპის შენობა, რომლის მესაკუთრე ვერ დავადგინეთ და შენობა დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 12,0 მ-ით; III-სს „თელასი“-ს (ID ნომერი: 202052580) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.005 (ქალაქი თბილისი, მასივი III, საცხენისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ) და მასზე განთავსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურის ერთსართულიანი შენობა (შენობა 1/1

საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 11,0 მ-ით და IV-თანამესაკუთრე მოქალაქეების, შპს „ახტელი“-ს (ID ნომერი: 202913106) და შპს „სილქნეტი“-ს (ID ნომერი: 204566978) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.004 (ქალაქი თბილისი, შუამთის ქუჩა №19) და მასზე განთავსებული შენობები (სამსართულიანი შენობა 01/3 და ერთსართულიანი შენობები 02/1 და 03/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელთაგან 02/1 შენობა ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობს საპროექტო წითელი ხაზიდან და მათ შორის მანძილი 10,0 მ-ია;

სიტუაციის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

„სპორტული დარბაზი“-ს საპროექტო შენობა განთავსებულია წყნარ რელიეფზე და ის პროექტის მიხედვით გეგმაში მარტივი, სწორკუთხა ნაკვეთურებიანი გეომეტრიული ფორმისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომებია 42,70X24,00 მ. (მიწისპირა სართულის, 0,000 ნიშნულის დონეზე). შენობა პირობითად შედგება ორი ნაკვეთურისაგან: პირობითად პირველი ნაკვეთური „ა-გ“ და „1-6“ ღერძებს შორის ორსართულიანია (უსარდაფო), ხოლო პირობითად მეორე ნაკვეთური „გ-თ“ და „1-6“ ღერძებს შორის კი ერთსართულიანია (ნაწილობრივ სარდაფით). პირობითად პირველი ნაკვეთურის სათავსოების სიმაღლე (იატაკის ზედაპირიდან გადახურვის ფილის ქვედა დონემდე) 3,0 მ-ია ხოლო ნაკვეთურის მთლიანი სიმაღლე პირველი სართულის იატაკის ზედაპირიდან 6,70 მ-ია. პირობითად მეორე ნაკვეთურის სარდაფის (რომელიც განთავსებულია მაყურებელთა ტრიბუნების ქვეშ, „გ-თ“ და „4.1-6“ ღერძებს შორის) იატაკის ზედაპირის ჩაღრმავება პირველი სართულის იატაკის ზედაპირიდან 2,34 მ-ია, ხოლო დარბაზის სათავსოს სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან გადახურვის წამწის ქვედა სარტყლის დონემდე 10,0 მ-ია. სახურავი ორქანობიანია. ნაკვეთურის მაქსიმალური სიმაღლე პირველი სართულის იატაკის ზედაპირიდან სახურავის კეხამდე 12,85 მ-ია. პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 439,350. საპროექტო შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია (პირობითად პირველი ნაკვეთურის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, ხოლო პირობითად მეორე ნაკვეთურის ძირათად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და ლითონის წამწეების ერთობლიობა). შენობა ფუძე გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლებით, რომლებიც ნაწილობრივ შეკრულნი არიან მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის კოჭებით. წერტილოვანი საძირკვლების ძირის ნიშნული შეესაბამება 443,750 მ. აბსოლუტურ ნიშნულს. შენობის ძირითად მზიდ ელემენტებს

წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი: სვეტები და რიგელები. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. მათ გარდა კარკასის ელემენტებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები სისქით 300 მმ. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის ერთი ორმარშიანი მონოლითური რკინაბეტონის შიგა კიბით და ერთი ერთმარშიანი ლითონის გარე კიბით.

საპროექტო შენობა განთავსებულია ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ტერიტორიის შემომზღუდავი წითელი ხაზიდან მისი მარჯვენა კიდე დაშორებულია 3,522 მ-ით. უახლესი მანძილი საპროექტო შენობიდან, ჩრდილოეთით მდებარე, № 01.19.20.022.018 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობამდე (შენობა 1/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) შეადგენს 23,0 მ-ს, ოდნავ ნაკლები მანძილია № 01.19.20.022.007 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობამდე (შენობა 1/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) და შეადგენს 22,0 მ-ს [კიდევ უფრო ნაკლებია მანძილი ერთსართულიან მიშენებამდე (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც დაშორებულია საპროექტო შენობის კიდედან დაახლოებით 19,0 მ-ით]; ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები იდენტურია (შესრულებულია ტიპიური პროექტების მიხედვით, რომლებსაც გააჩნიათ რკინაბეტონის ლენტური საძირკვლები), ორთავე შენობას გააჩნიათ სარდაფები, მათ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენს ჩვეულებრივი თიხის წითელი აგურის წყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. მიშენება (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) შეიძლება ჩაითვალოს დროებით ნაგებობად, ის წარმოადგენს სავაჭრო ობიექტს და წარმოადგენს ერთსართულიან პავილიონის ტიპის შენობას მცირე ჩაღრმავების საძირკვლებით, რომელიც მიშენებულია № 01.19.20.022.007 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობაზე. ზემოაღნიშნულ შენობებთან მიმართებაში დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის („საძირკვლის ჩაღრმავების შერჩევა გრუნტულ პირობების მიხედვით“) მოთხოვნები და საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გავრცელებული წნევის ხაზი ვერ გადაკვეთს ზემოაღნიშნული, არსებული შენობების საძირკვლის კონტურს მათ შორის არსებული საკმაოდ დიდი (მინიმუმ 22,0 მ) ჰორიზონტალური მანძილის გამო.

საპროექტო შენობიდან აღმოსავლეთით მდებარე № 01.19.20.027.017 საკადასტრო კოდის მქონე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან.

საპროექტო შენობიდან სამხრეთით მდებარე შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ № 01.19.20.027.018 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებულია ოთხსართულიანი (სარდაფით) ადმინისტრაციული შენობა (შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“-ს შენობა), რომელიც დაშორებულია საპროექტო შენობიდან 14,0 მ-მდე. არსებული სასწავლო კორპუსის შენობა (შენობა 3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომლის გაბარიტული ზომები მიწისპირა სართულის დონეზე 30,50X16,40 მ-ია შენობა ოთხსართულიანია (ნულსქვედა ნახევარსარდაფის ერთი სართულით და ნულსზედა ოთხი სართულით). პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 442,700. შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია. მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სვეტები და რიგელები. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკიბნაბეტონის წიბოვანი ფილებით. შენობა გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის 400 მმ. სისქის საძირკვლის ფილით, რომლის ძირის ნიშნული, შპს „არქსტუდიო“-ს ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ შესრულებული „ქალაქი თბილისი, შუამთის ქუჩა №21. საკ. კოდი 01.19.20.027.018 შპს „ვი თი ჯგუფი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“-ს თანახმად შეესაბამება 438,500 მ. აბსოლუტურ ნიშნულს. საძირკვლების ძირის დონეთა სხვაობა საპროექტო და არსებული შენობების საძირკვლების ნიშნულებს შორის შეადგენს (439,35–438,500=0,85) 850 მმ-ს. რადგანაც მანძილი საპროექტო და არსებულ შენობებს შორის ჰორიზონტალური პროექციის მიხედვით დაახლოებით 14,0 მ-ია, აქაც დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის მოთხოვნები და საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გავრცელებული წნევის ხაზი (0,85/14,0=1/16,47<1/2) ვერ გადაკვეთს ზემოაღნიშნული, არსებული შენობის საძირკვლის კონტურს.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა დასავლეთიდან მდებარე ნაკვეთების მიმართ: I – № 01.19.20.027.020 საკადასტრო კოდის მქონე, სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან; II – № 01.19.20.027.019 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ერთსართულიანი, პავილიონის ტიპის შენობა დაშორებულია საპროექტო შენობის კიდედანდან დაახლოებით 30,0 მ-ით და მასზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ახალი მშენებლობის დროს გამორიცხულია; III – № 01.19.20.027.005

საკადასტრო კოდის მქონე, სს „თელასი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სატრანსფორმატორო ქვესადგურის ერთსართულიანი შენობა დაშორებულია საპროექტო შენობის კიდედანდან დაახლოებით (11,0+6,0=17,0) 17,0 მ-ით და მისი საძირკვლის ძირის ჩაღრმავება (ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით) ტროტუარის რელიეფის ზედაპირიდან (აბსოლუტური ნიშნული 442,700 ტოპოგეგმის მიხედვით) სავარაუდოდ –3,0 მ-ია და მისი აბსოლუტური ნიშნული მიახლოებით შეესაბამება 439,700 მ-ს. საძირკვლების ძირის დონეთა სხვაობა საპროექტო და არსებული შენობების საძირკვლების ნიშნულებს შორის დაახლოებით შეადგენს (439,700–439,350=0,35) 350 მმ-ს. რადგანაც მანძილი საპროექტო და არსებულ შენობებს შორის ჰორიზონტალური პროექციის მიხედვით დაახლოებით 17,0 მ-ია, აქაც დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (სნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის მოთხოვნები და საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გავრცელებული წნევის ხაზი (0,35/17,0=1/48,57<1/2) ვერ გადაკვეთს ზემოაღნიშნული, სატრანსფორმატორო ქვესადგურის არსებული შენობის საძირკვლის კონტურს და მასზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ახალი მშენებლობის დროს გამორიცხულია; IV – № 01.19.20.027.004 საკადასტრო კოდის მქონე, თანამესაკუთრე მოქალაქეების, შპს „ახტელი“-ს და შპს „სილქნეტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული უახლოესი შენობა (ერთსართულიანი შენობა 02/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო შენობის კიდედანდან დაახლოებით (10,0+6,0=16,0) 16,0 მ-ით და მისი საძირკვლის ძირის ჩაღრმავება ეზოს რელიეფის ზედაპირიდან (აბსოლუტური ნიშნული დაახლოებით 444,000 ტოპოგეგმის მიხედვით) სავარაუდოდ –0,60 მ-ია და მისი აბსოლუტური ნიშნული მიახლოებით შეესაბამება 439,400 მ-ს. საძირკვლების ძირის დონეთა სხვაობა საპროექტო და არსებული შენობების საძირკვლების ნიშნულებს შორის დაახლოებით შეადგენს (439,400–439,350=0,05) 50 მმ-ს. რადგანაც მანძილი საპროექტო და არსებულ შენობებს შორის ჰორიზონტალური პროექციის მიხედვით დაახლოებით 16,0 მ-ია, აქაც დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (სნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის მოთხოვნები და საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გავრცელებული წნევის ხაზი (0,05/16,0=1/320<<<1/2) ვერ გადაკვეთს ზემოაღნიშნული, ერთსართულიანი არსებული შენობის (შენობა 02/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) საძირკვლის კონტურს და მასზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ახალი მშენებლობის დროს გამორიცხულია.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ

ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხარისხიანად და უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 25

დანართი



არსებული სიტუაცია – სადემონტაჟო შენობები



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, შუამთის ქუჩა



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, შუამთის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.022.018 და მასზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, შუამთის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.022.007 და მასზე განთავსებული ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა შუამთის ქუჩის მხრიდან ერთსართულიანი მინაშენებით.



საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ის საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.017



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საცხენისის ქუჩა



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საცხენისის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.029.021 და მასზე განთავსებული საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობები



საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა



საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი“-ს საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.020.



საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე თავისუფალი ნაკვეთი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.019 და მასზე განთავსებული ერთსართულიანი, პავილიონის ტიპის შენობა.



საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა და მის გასწვრივ, სს „თელასი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.005 და მასზე განთავსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურის ერთსართულიანი შენობა.



საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, აეროდრომის ქუჩა და მის გასწვრივ თანამესაკუთრე მოქალაქეების, შპს „ახტელი“-ს და შპს „სილქნეტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.19.20.027.004 და მასზე განთავსებული შენობები (სამსართულიანი შენობა 01/3 და ერთსართულიანი შენობები 02/1 და 03/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით).



საპროექტო შენობიდან სამხრეთით მდებარე შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ № 01.19.20.027.018 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებულია ოთხსართულიანი (სარდაფით) ადმინისტრაციული შენობა (სასწავლო კორპუსი)